

# მარტინ

საქონელ-კვირათ ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

16 მარტს

გამოიცავა

№ 11

კვირათი

1886 წელს.

ფასი „თეატრი“-სა წლით ხუთი (5) მანეთი, ნახვაშ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გადით ხელის მოწერა არ მიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა დირს სამი შაურა. ხელის მოწერა მიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის დრესი: თიფლის. ვხ რედაქციი „Teatr“.



მოტაცებულია! \*)

(მწერების ნამტვრები)

### III

— „შამილი ჯერ კიდევ დაჭრილი არ იყო“; ამ სახით განაგრძო მასპინძელმა თავის თავ-გადასავალის ამბავი: — „მე მაშინ თერამეტი წლისა ვიქნებოდი, როდესაც უბალახობის გამო ცხარი აქ ალაზან გაღმა გამოერეცევით. ზეალვა ისეთი ძრიელი იყო იმ წელსა, რომ მთელი მახეთის ცხარი, ყველას აქ უნდა გამოერეცნა. ამავე დროს „შიშიანობაც“ გაძრიელებული იყო მახეთშია; შამილის მოქმედებისაგან გაზვიადებული ლეკები, გუნდ-გუნდათ ჩამოლიოდენ მთიდგანა და „თულაობასთან“, ზოგჯერ მთელ სოფლებსაც იკლებდენ ხოლმე. ნადავლი და ნაშოვარი «ლაი-ლაის» ძახილით გადაპქონდათ დალესტანში და ასე და ამ რიგათ მაშინდელ დროში მთელი მახეთი მოუსვერარს დღეში იყო იმ დაწყევლილ ლეკებისა-განა!.. ჩვენ, მწყემსები, ამ გვარ შიშიანობას სრულებითაც არ შეუშინდით და უფრო და უფრო მთის კალთებში აგვიღოთა ცხარი. მოხი ხუთი ბინა ვიზ-

რებოლით ერთათ და ცხვარს უშიშრათ ვაძლებლით.

„ზეალვა და უბალახობისაგან გულ გატეხილი მწყემსები აგვიტუუ მწერა ბიბინა-ბალახმა და ბინა თან-და-თან წინ გადაგექონდა. მრთხელ ბინა ერთ პატარა დაცემულ სერიანზედ დავდევით. ამ პატარა სერს გარშემო საამურო ქედები ჰქონდა შემორტყმული და ბალახს ხომ უკეთეს ველარა ვნახამდით. იქ პირელი ოთხი დღე კარგათ გავატარევით; მხიარულება და ფანტურის დაკრის მხოლოდ ჩვენა გვქონდა დარჩენილი. მექესე დღეს აკი გაუწყრათ ჩვენი გამჩენი და სალამო ეამს დაგვეცა ბინაზედ ოცდა-ათი კაცი. ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი კიურინა და თოფის სროლა ავტენთ, მაგრამ, მანც დაგვძლიეს და ცხვართან მე და ჩემი ამხანაგი გაგვიტაცეს თანა“...

აქ შესდგა ჩვენი მოსაუბრე მასპინძელი; მოატანინა ცოლს ხონჩა, დაგვიდგა წინ და შეუდექით ვაჭმის ჭამასა. ღურიჯი ახლოს არ მოგვეკარა, იმან ცალკე დაიდგა პატარა ტაპკით პური და კუთხეში მიმჯღარმა განაგრძო ეაჭმის ჭამა. ეაჭმის დროს ჩვენ არაფერი გვიკითხაეს მასპინძლისთვის და მხოლოდ იმას ვფიქრობდით, რომ გავათავებლით თუ არა ვაჭმას, მასპინძელი მწყემსი განაგრძობდა თავის ამბავსა. ასეც მოხდა. ვაჭმამი მაღლე გავათავეთ და შემდეგ მოსაუბრე ისევ თითონვე დაუბრუნდა თავის საუბარსა.

— „ჰო, იმას მოგახსენებლით: მე და ერთი ჩემი

\*) იხილე 『თეატრი』 № 10.

ამხანაგი წაგვიყვანეს თანა; მოელი გზა სულ ფეხით გვატარეს იმ ოჯახ დაქცეულებმა და მერვე დღეს როგორც იყო მივეღით სოფელ უნწუქშია. მიუხალოვდით თუ არა სოფელს იქვე გაიყვეს ნადავლი და, მე, ოთხი ძროხა და ოცდა არამდისინ ცხვარი ერთ მოხუცებულ ლეკს ვერგვეთ წილათა. ლეკმა გაირევა წინ ცხვარი და ძროხა; მეც უკან მივდევდი მათ და მიგვიყვანა თავის სახლში, რომელიც სოფლის ბოლოში იყო. სახლში მყოფთ რაკი შეიტყვეს „ბებერი თულის“ მშევიღობით დაბრუნება, გახარებულები გამოეგბნენ ეზოში და შემოეხვინენ გარშემო... აბა მე კი არა გვეიგებდი და ისეთი ქრიამული ასტეხეს, რომ კაცს ეგონებოდა ჯოჯოხეთში ჩავაჩლიო. ღილა თუ პატარამ დაანებეს საქონელს თავი და ახლა მე შემომხვინენ გარშემო; პატარებს უფრო უოცდებოდათ უცხო კაცის ნახეა: ზოგი ჩოხის კალთას მიწევდა, ზოგი ჩემ თუშურ ქუდას მხდიდა თავიდგანა და გაშინჯვის შემდეგ ისევა მხერავდენ თავზედა, ზოგნი საცვეთებს მიშინჯავდენ, ერთი სიტყვით, აღარ იცოდნენ რა ექნათ ჩემთვის, როგორ გავეშინჯე თავიდგან ფეხებამდისინ. მეც გაჩუმებული ხან ერთს უურებდი და ხან მეორესა; მე იმათი არა მესმოდარა და ქართული კი მხოლოდ იმ „ბებერმა თულმა“ იცოდა.

„ასე ჩხრეკის შემდეგ, განაგრძო კვალათ მას-პინძელ-მწყემსმა საუბარი, — შემიყვანეს სახლში და დამსვეს ცეცხლა პირსა. ნადავლ ცხვარიდგან ერთს მაშინათვე გამოჰქონების ყელი, შემოლექს ცეცხლზედ ქვაბები და ფლავი ისე მაღლ მოხარუს დედა-კაცებმა, რომ ჩენებური დედა კაცები თავიანთის ზარმაცობით მომძულდნენ მათ მაყურებელსა მოხარუს თუ არა ფლავი, გადმოიღეს დიდრონი სინები, შემოუსხდენ გარშემო თითო სინს სამი ოთხი სული და ისე დაუწყეს ჭამა, რომ მაძლარსაც კი მაღაზე მოიცანდენ. მეც ერთ პატარა სინზედ მომცეს ცალკე, მავრამ რვა ცხრა დღის დაღლილ დაქანცულს რა ჭამის თავი მქონდა; ერთი თეალის მოტუება ათას იმისთანა ფლავს მირჩეოდა... ვახშამი მაღლ გაათავეს და უველამ «დურა ტავებს» წამოავლეს ხელი: ზოგი იქვე წამოწეა, ზოგი დერეფანში, ზოგმა ეზოს კუნძულის დასაძინებლად და მეც შემიყვანეს ერთ პატარა მიწურ სახლში, მომცეს ტყავი და გადამიცეტეს გარედგან კარები. პატარა ხან შემდეგ ვახსნენ ღმერთი და თუმცა უცხო მხარეს, მაგრამ დაღლილ-დაქანცულს ძრიელ ტკბილათ ჩამძინებოდა...

## IV

შინქლვლა მაღლ გადიღო; ღრუბლები წავიდ-

წამოეიღნენ და ზაფხულის ლურჯათ მოწმენდაშეუეტებულ გამოეცემა. ჩენ და ჩენი მასპინძელი — მწყემსი გამოვედით კარში და დავხედეთ თავისუფლათ დაკრილ ცხვარსა. ჩამოვსხედით პატარა კუნძული და სიამოვნებით დაუწყეთ ცეცხლა დანამულ ბალახსა; მასპინძელმაც გაიკეთა ჩიბური, ერთი რამდენჯერმე მოსწია და განაგრძო ამბავი თავის თავ-გადასავალზედა:

— „თუმცა ყველაფერი უცხოთ მეჩვენებოდა, მაგრამ უნდა გითხრათ რომ ძრიელ მაღლ შევეჩვი იქაურიბასა. ლეკების უცხო მოწყობილობა, ძალლუმადური ცხოვრება და წუნკალაობა, მეც იმათსავით შემიყვარდა, მეც იმათთან და იმათსავით დავიწევ ცხოვრება. ღრომ ჩეცელებისამგრ მაღლ გაირბინა და რვა თვის განმავლობაში კარგათ შევისწავლე როგორც მათი ცხოვრება, ისეთაც მათი არეულობის მიზეზებიც... ისიც უნდა გითხრათ, რომ შამილი იმ ღროს ჩენ სოფელზედ ახლო სცხოვრებდა, ჯარი არა ცყვანდა მაგრე რიგათ მ ამეტებული, მაგრამ მათი ბილიკები, ვიწრო ხეობები და მიუღოვმელი სერები ცოტათიც ბევრს გაუმაგრდებოდენ... ისეთაც არ ისევენდენ ი დაწყევლილი ლეკები და მაღლმალ მიღოდენ ალაზნისაცნ სათულაოთ, რომ ედავლნათ რასაც მოასწორდენ და გადმოიყვანათ დალესტარშია. ამ რიგათ მეოთხე გზობაზედ, ჩემი „ბატონიც“, ასე ვებიდით ლეკებს ნადავლი ტყვები, — იქვე მოგვიკლეს თულაობის ღროს, და ისე მოგვიტანეს შინა...

„მე, მაჩთალია, ტყვე ვიუავი მათი, მაგრამ სისწორე უნდა სთვას კაცმა, შეილიეთ მიფრთხილდებოდენ. ნადავლი ცხვარი ბებერი ჰყენდათ და ჩემის მეტი არავინ უვლიდა იმათა. ღილით გაერეკავდი ხოლმე და ზოგჯერ ორი სამი დღე აღარ მომიღოოდა სახლშია. მე, ჩემო საყარელო სტუმრებო, მხოლოდ იქაურ ტყეს, მინღორსა და წყალს გამოვყვნდი საკურველებიდენა! შიფლის, კაცლის და წაბლის ჭალები სრულებით მაოცებდნენ; მწვანე ხესსავით ბალახი და ნაკადულსავით მორბედი ცივი წყაროები, ზოგჯერ იქამდისნ მიმიზ-დავდენ ხოლმე. რომ მთელი დღეობით ერთსა და იმავე აღგილს ვატრიალებდი ცხვარს, ერთსა და იმავე აღგილს ვატრაცდი ღროს სალამურის კერითა... იმაზედ უკეთეს ვერას ინატრის კაცი, როგორც ღამის გატარებას წაბლის ჭალაშია! რომ ვიცოდე სამოთხე ქვეყნირათ იქნებოდა, მე სამოთხეთ იქაურ წაბლის ჭალებს, მუვენიერ მდელოს და ბუჩქებში მორბედ წყაროებს ჩაეთვლიდი!

„დურიჯი, განაგრძო დაულალელმა მოსაუბრემ, — მაშინ თვრამეტ-ცხრამეტი წლისა იქნებოდა;

ჩვენებური ლაპარაკი მაღვ ვასწავლე და უნდა გამოტეხილი გითხრათ, რომ ორივენი ერთმანეთთან ძრიელ დამეგობრებულნი ვიყავით... ზოგჯერ სახლში სრულებით მარტონი ვრჩებოდით ხოლმე, ჩამოესხდებოდით დიდ მსხლის ქვეშ და სიამოვნებით უყურებდით ერთი-ერთმანეთსა, უყურებდით დიდხანს და ბოლოს... ბოლოს სწრაფი კოცნა შეიქმნებოდა ხოლმე ჩვენი გულის საიდუმლოების გამომთქმელი, ერთი სიტყვით, მე და დურიჯს გვიყვარდა ერთმანეთი ჩვენი საიდუმლო სიყვარული დღე დღეზედ უფრო ძრიელდებოდა და აღარ ვიცოდით, რითი და როგორ გაგვინდებინა ჩვენ გულში ანთებული ცეცხლის ალები...”

## V

— „არეულობა ლეკებში უფრო და უფრო ძრიელდებოდა. ლეკებს ცუდი დღე მოსდომოდათ. თანდა-თან შამილი მარტლებოდა: ჯარი და სიმაგრენი ვერასა ჰშევლოდენ, მოხუცებულები ყოველ დღე იკრიბებოდენ სოფლათ; დიდის ფიქრისა და რჩევის შემდეგ, მაინც ურჩევდენ ახალ-გაზლობასა, რომ არ შაერტვინათ „ყორანი“, გამაგრებინათ მთა და შამილის ბძნება აღესრულებინათ. მოხუცებულების სიტყვები ზარსაცით ეცემოდათ თავს ახალგაზლობასა და დიდი თუ პატარა, ღონიერი თუ უღლონა იარაღს ივლებდენ ხელსა. ამ ყოფით მაინც ვერ შეაყენეს «ჩვენი ჯარები» და როგორც ხმა ისმოდა სულ წინ და შხოლოდ წინ მოდიოდენ, სერები სერებზედ იღებოდა; ხალხი საკმაოთ უწყდებოდათ ლეკებს; ღონის-ძება აღარ-საიდგნა ჰქონდათ ბრძოლის გაგრძელებისა. მოწინააღმდეგეთა შორის არ გაიდა ერთი კვირაც, რომ ყველა სოფელმა, ყოველმა საზოგადოებამ, ყოველმა სულმა ჩამოყარეს ყურები, შეუდგათ ვაი-ვაგლახი და აღარ იცოდნენ რა საშუალებისათვის მოეჭიდნათ ხელი... გასახიზნავათ, ტყებში თავ შესაფარებლათ ურემი-ურემზედ ემზადებოდა! რა იყო და რა ამბავია? ვისაც გინდათ დაპიოთხებოდით, მხოლოდ ერთსა და იმავე პასუხს შემოგჩივლებდენ.— შამილი დაიჭირეს, კინაღამ, ჩვენ ვალა დავილუპენითო!”

„დიახ, შამილი დაიჭირეს, დაჭყარეს ლეკებმა იარალი და მოუღრიკეს თავი ჩვენს მთავრობას! რაკი დაპიოდეს თავიანთ უღლონობას, რაკი ნახეს რომ ველარას გააწყობდნენ, მაშინ ყველგან დამშეიდენ, ყველგან დაანებეს არეულობას თავი და მხოლოდ ისლა იყო მათი ფიქრი: საით და რა ღრომდე რომელ მთისათვის შეფარებინათ თავი.

## VI

— „შამილის დაჭერასთან, ბედნიერი ვარსკვ-

ლავი ამოგვივიდა მე და დურიჯსა. მხატვრული ცენტრი შეგვეძლო აღგვესრულებინა ის, რაც აჭამდებოდა მიზანი დუმლოთ იფარებოდა ჩვენს გულშია, და ეს საიდუმლო მიზანი კიდევ იყო ისა, რომ გაეშორებოდით მთას, მოეშორებოდით შინაურულს არეულ-დარეულობასთან, ისეთაც ბინძურ ცხოვრებასა და გვეცხოვნა ჩვენთვის ცალკე, სრულებით თავისუფლათ და ერთმანეთის სიყვარულითა.

„სუსე მოჰვდა. ხალხის არეულ-დარეულობით ჩვენ ძრიელ ვისარგებლეთ; ყყელა მიეშურებოდა, ყველა აბარებდა ურებს, მაგრამ საით მიდიოდენ, სად უნდა შეეფარებინათ თავები, არავინ ერთმანეთის ამბავი არ იცოდა. თქვენც ხომ მეტყვით, ჩემო საყვარელო სტუმრებო, რომ ჩვენთვის ეს საუკეთესო ღრო უნდა ყოფილიყო, უნდა გვესარებლენა იმითი, რასაც შემთხვევა გვაძლევდა და ისეც უყავით.

„ის უკანასკნელი ღამე, რომელიც მე და დურიჯმა გავატარევით დაღესტანში, ერთ უკეთეს ღამეთ უნდა ჩაითეალოს ჩემს სიცოცხლეში! ცა, არა ჩვეულებრივ, ლურჯათ იყო შეფერილი, ზედ ვარსკვლავები თავისუფლათ დანაერლობდენ და მთეარის მჭრთალი სხივები, ზეწარსაცით გადაჰუნოდა დაღესტნის ნისლიან ღამესა, სამურათ გაისმოდა წაბლის ხების შრიალი და წყაროს სერებიდგან ჩხრიალის ხმა თითქო გამარჯვების ხმებს გვიმლეონოდნენ. მიმტკანარებულ ბინდს მხოლოთ ზოგჯერ ფრინვლის ხმა ახმაურებდა, რომ ამ ღროს, ამ მშვენიერ წამს მე და დურიჯი უშიშრათ მოვდევდით ცხვარს და მიველალებოდით ჩემი საყვარელი მხრისაკენა! გათენდებოდა თუ არა, სადმე ხეობაში ჩაერევდით ცხვარსა და ბინდამდიისინ იქ ვიყავით თავ-შეფარებულნი; რაკი კარგა შელამდებოდა, რაკი დღე ღამის ერთსა და იგივე საუცხოვო სურათათ გარდაიქცევოდა, მაშინ კვალათ გამოუტევდით ხოლმე გზასა და ასე და ამ რიგათ მერვე განთიაღს გადმოვხედეთ ჩვენ საყვარელ პლაზანსა. წარმოიღვინეთ, ჩემო საყვარელო სტუმრებო, რა გახარებული უნდა ყოფილვიყავი, რომ უშიანოთ თავ-ღაბწეულმა, მშვიდობით მოვახწიე იმ ადგილს, სადაც გამიტარებია კუმწვილობის უკეთესი დღეები! გაღმოვედი დაღესტნიდგან, გაენინაფისუფლე თავი და ამასთანავე შევიძინე ის, ვისთვისაც მას აქეთი შემიწირავს ჩემი უკეთესი დღეები ეს—დურიჯია, დურიჯი მე მეკუთვნის, მაგრამ იმ დღეიდგან, როგორც გამოტაცებული მე «მოტაცებულს» ვეძახი და თქვენც ხომ დამეთხმებით, რომ დურიჯი მოტაცებულია!

ჩვენში მოსაუბრე და დაულლელმა მასპინძელმა ასე დააბოლოვა თავის თავ-გადასავალი; ამასობაში ღამე კარგათ გასულიყო და ჩვენც იქვე, ცხვართან ახლოს წამოვწექით დასაძინელათა. მეორე დღეს აღ-რიან საუზმის შემდეგ ჩვენ და ჩვენი მასპინძელი გავ-ზორდით ერთმანეთსა. ჩვენ ჩვეულებისამებრ შემოუ-დექით ტყეს და მხოლოდ მეოთხე ღამეს დავბრუნდით სახლშია.

ასეა, ჩემო მკითხველო, მონადირეთა წესი; ტყეში სადაც დაგიღამდება, იქ უნდა გაგითხნდეს და სადაც გაგითხნდება იქავე დაგიღამდება. ვინ იცის ამ ღრიას ეის არ შეჰქედები, ვისთან არ მოგიხდება ღამის გატარება, რომელთა საუბრით და თავ-გადასავლის ამ-ბით გავიწედება დალლულობაც, ტყეში სრაჩულიც და ასე და ამ რიგათ მიუწოდომელ სიამოვნებით ატა-რებ დროსა.

### კედის-ციხელი.

(დასასრული)

### არ არის ჭესი გამოურიცხველი.

ერთს კრებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი ექიმებ-ზედ. ლაპარაკობდენ მაზედ თუ რამდენად საჭიროა საზოგადოთ ექიმისგან აეადმიყოფის სანახვად დაუგ-ვინებლობა და შემწეობა. ბევრი ილაპარაკეს ამ სა-განზედ, მაგრამ რაკი ამ კრებაზე იყო ექიმი—დავამ მიიღო განსაუთრებით გაშმაგებული ხასიათი.

— დამიჯერეთ, ბატონებო, ცხადათ წარმოსათქმა ექიმმა, რომ თქვენ თხოულობთ შეუძლებელს. მიუ-ხედავთ მისდა, რომ პირველად უველა პროფესია უნდა თავისუფალი ი ის: თქვენ მაინც არ გაქვსთ ნება მოითხოვოთ ექიმის მოსვლა, რაც უნდა გაჭირება გქონდესთ, როდესაც უკანასკნელს რომელიმე მიზე ზის გამო არ შეუძლია თქვენთან წამოსვლა—მე ვამ-ბობ, რომ თქვენ განუცხადეთ ექიმს ფრიულად აუს-ტულებელს მოთხოვნილებას... მომითმინეთ... ნება მიბოძეთ გავათავო... მე შემიძლია ვიმუშავო პრაქ-ტიკაზედ 10—15 ბოლოს 18—20 საათიც... დრო არის შემდეგ დასვენების?! არა. იქ ოცი საათის შრო-მის შემდეგ კიდევ გვიძახიან ავადმყოფთან. პირველად მე ძილი მინდა და თქვენ ლაპარაკობთ ულმობელო-ბაზედ... როცა არ იცით ექიმის გარემოება—შეიძ-ლება ამ უკანასკნელს სახლში საშიშარი ავადმყოფი ჰყავს. .

— მომითმინეთ, ექიმო. გაწყვეტურებული უკანასკნელი ერთმა მოლაპარაკეთაგანმა, თქვენ, რასაკირეველია, როგინათ სჯით. იქნებიან შემთხვევაები, როდესაც ექიმს ვერ ძალუს წავიდეს ყაველ ძახილზედ და სა-ზოგადოება ცუდათ ისხენებს ექიმს ამ შემთხვევაში, მაგრამ ხშირად იქნებიან ამისთან შემთხვევაები? სხვა-ფრივ, ამაზედ სჯაც ნუ გვექნება. ჩვენში ჩამოვარდა ლაპარაკი იმ განსაკუთრებული შემთხვევაებზედ, რო-დესაც ადამიანს სიკვდილი ემუქრება და სამურნალო საშუალება სხვაგან მყოფობს. დასწანწალებ ექიმის-თვის, რეკ თვითოვეულის კარებთან, მაგრამ უველგან ერთი და იგივე პასუხია: ხან „ექიმი არ არის შინ, ხან ექიმს ძინავს, ხან, ბოლოს, ექიმს არ შეუძლია წამოსვლა“. აი ამაშია ჩვენი დავა.

„უკარავად, მაგრამ მე მგონია, თუმც საქმე მი-დის კაცის ცხავერებაზედ, იქ კითხვა აიხსნება უბრა-ლოდ და სიმართლის სასწორმა უნდა დაიწიოს მო-მაკედავის მხრით და არა ექიმებისა საზოგადოთ... შესახებ მე მომაგონდა ერთი შემთხვევა, ზნებითი შემთხვევა. ბარჩიეთ ის და სთქვით ვინაა მართალი!.. ვიმეორებ, შემთხვევა არა მოგონილი. მას აქეს აღ-გილი ჩვენს ერთს დიდს ქალაქში.

ერთ მომქმედ პირად აღმოჩნდა ჩემი კარგი მე-გობარი, ზღვის აფეცარი. ამ უკანასკნელის ცოლს დაუდგა ღრო შეიღლის შობისა. შეელა, როგორც სჩანდა, შევიღობინად მიდიოდა, მაგრამ უცებ ბებიამ გამოაცხადა, რომ უსაჭიროესია, ექიმის დაუყონებე-ლი შეწეობათ. რასაკვირველია, ჩემი მეგობარი მა-შინევ ჩაჯდა კარეტაში და გაფრინდა ექიმთან. დარეკა ერთის კართან—არ არი შინ; მეორესთან—არ მიი-ღეს, მესამესთან—მოისვენებს და არ უბრძანებია გალ-ვიძება, მეოთხესთან, მეხუთესთან—უველგან ერთი და იგივე შედეგია.

სასო - წარკვეთილი ჩემი მეგობარი დახედას საათს და ნახავს, რომ ერთი საათი მეტი დაწანწა-ლებს. თავ-დავიწებული ჩადის ერთ სახელოვანთან, რომლის მოპატიუება პირველად ფიქრადაც არ მოსვ-ლია, რავი ეს იყო დაშორებული მის ჯიბეს. ჩამოა-უენა ლაქია, რომელიც მას გადაეღობა გზაზედ, და გამოაცხადა გაღაწუვეტილი მოთხოვნილება ენახა ექი-მი. მისი აღელვებული ხმა გაიგონა ექიმმა და ბალ-კონზედ კარებიდან გამოჩნდა პატარა ტანის გამხდარი შეხედულობის კაცი, ეს იყო ექიმი

«ექიმო, ლეთის გულისთვის, წავიდეთ ამ წუთ-ში ავადმყოფთან... მე ერთი საათი მეტია დაწანწა-ლებ... შეიძლება გვიანდაც იყოს. . უკარავად, მაგ-რამ ნუ იგვიანებთ, ლეთის გულისთვის!»

— უკარავად, მოწყალე ხელმწიფევ,—მე ვლე-

ბულობ ავადმყოფებს მხოლოდ ჩემს სახლ'მი...

— ჰერიო გამორიცხვა... მქიმო, ჩემი შეულლის  
სიცოცხლე თქვენს ხელშია.

— არა, არ შემიძლია. დღეს თქვენთან წამო-  
ვიდე—ხალ არ მექნება მოსვენება მთხოვნელებისა-  
გან.

„მქიმო, დაიყვირა სასო-წარკვეთილმა მეგობარმა,  
თქვენ ვალდებული ხართ წამოხეიდეთ და რატუმ არ  
მოდიხართ?“

— მოწყალეო ხელმწიფე! თქვენ თავის თავს  
ივიწულეთ...

«არა, თქვენ წამოპრინცებით, დაიყვირა მრის-  
ხანედ კლიენტმა და იმ მომენტში ექიმის პატარა მორ-  
ფი მიიხვერა ხელში ჩემმა მეგობარმა, რომელიც, მარ-  
თალი გითხრათ, მფლობელობდა დევის ოდენ ლონეს.  
მრთი წამიც და ორივე კარეტაში გაჩნდენ, ყველა ეს  
ისე უცბად მოხდა, რომ, ვერც ექიმის კაცმა, ვერც  
ვინმე შინაურთაგანმა ვერ მივიდენ საშველებლად.  
ასე ხალათოსანი წარსდგა სახელოვანი ექიმი ავად-  
მყოფის წინ. არ გასულა ერთი საათიც—ყოველივე  
შემწეობა აღმოჩნდა და სამიშროებაც დაიკარგა. რო-  
ცა მოვიდა გონიერ ჩემმა მეგობარმა მოითხოვა ბო-  
დიში ექიმთან თავის კადნიერებაზედ და თავხელულ  
საქციელზედ.

— პირველად უბრძანეთ ტანისამოსი მომიტა-  
ნონ, ლიმილით უთხრა ექიმმა, თორემ დამინახვენ  
თუ არა ხალათით ქუჩებში—იტყვიან, რომ კუუიღან  
შავიშალე... და ეხლა, ნება მომეცით მეც ჩემდარი-  
გათ ბოდიში მოვიხადო მაზედ, რომ მე გამოგიწვიეთ  
ამისთანა... ამისთანა გასაბედავ საქციელზედ; მაშას-  
დამე მომეცი ხელი, რომ ორივენი კმაყოფილნი ვართ.  
მე ჩემდა რიგათ მიეიღო გაცემითილი, რომ არა და არც  
უნდა იყოს წესი გამოურიცხველად.

მაშასადამე, ბატონებო, და თქვენ ექიმო, გა-  
თავ ლაპარაკი, თქვენ წინ არის ფაქტი, მაგრამ სთკიოთ,  
რომელი თქვენგან დაიდებს გულზედ ხელს და გამტ-  
უნებს ჩემს მეგობარს და ამასთანავე ვინ თქვენგანი  
უარს ჰყოფს ექიმთან ლრმად პატივის ცემას, იმ მო-  
მენტიდან, როდესაც ის ჩაუვარდა ხელში ჰერკუ-  
ლესს?

ამას უნდა დაუმატოთ კიდეც ერთი წედილია-  
ლობა. ჩემ მეგობრის და სახელოვან ექიმს შუა, შემ-  
დეგ მათი შემთხვევით შესცედრისა, ჩამოვარდა დიდი  
მეგობრობა, ასე რომ თითქმის მათ გაიცნეს ერთმანე-  
თის ოჯახობაც.

დ. ბოჭქაძე.

## სიმღერა

ერთობები  
გიგანტისა



(მთულური)

აზაფს უდის და ამოდის,  
სოფელში ირმა უკირისო,—  
ას ჩემი გული ტიალი  
ისევ და ისევ სტირისო.

დამით მინახეს მოის შირად  
ბუ გულ-საგლაგად ქიოდეს;  
ცეტა თუ კიდევ სსკასაცა  
ჩემებრივ გული სტერდეს?!..  
მითომ სუველას შოდო აქეს,  
ყდვნიც კა დაშრებანო;  
მაშ ჩემის გულის დამჭრელი  
რატომ არ გასწუდებანო?!

გრა-ფშველა.

~~~~~

\*\*

მე არ მინდა ცხოვრებაში წინამძღოლი მევანდეს,  
მასდეს;—  
თუნდ რომ უკეთა ამიძულოს, თუნდ რომ ჩემი აღოშმა  
წახდეს.

მე არ მინდა, თავვანი გსცე უსულ-გული, დაბალ  
გროვა;.—  
მასთან არ აქეს რამ კაგშირი ჩემსა გალალს და ჩემს  
გლოვას.

მე არ მინდა, რომ მიძღვნიდენ უნაუთვა ცრუ და-  
და მის ნაცვლად თხოულობდენ საიდუმლო აღსარებას.

მე არ მინდა, რომ კამცნობო კისმეს ჩემი ტანჯვა,  
გნება,  
რომ მომესმას ურკელ მსრადამ დაცინვა, და სარსარება.

მე არ მინდა, რომ იცოდენ ჩემი აზრი და ფიქრები,  
რომ ამითი გავიძრებულ ერთი ასად ჩემი მტრები.

მე არ მინდა, რომ გამჟღანდეს, უმცნაური გრძნო-  
ბათ ღელვა  
და ამ მკვდარ გულს ამოსწილდეს მის ტალღების ამო-  
ღელება.

მე არ მინდა, რომ სედვიდენ ჩემს სურვილს და ჩემს  
ცრემლებსა  
და უგრძნობოდ დასცინოდენ მათგან უცნობ სურვილებსა.

მე არ მინდა, ორმ კსმოდესთ ჩემი გოდვა და ტი-  
რილი, რომ ამითი მათ აქმრასთ სიამოვნე და ღიმილი.

მე არ მინდა, არავისგან თანაგრძნობით შემორალება,  
ორმ უგანებ მოითხოვთ თვის ურგები დავალება.

მე არ მინდა, არცა ვითხოვ ეკალ-დაფნის გვირგვი-  
ნებსა,  
რომ იმითვე დაგაწრული, კერ კუმლებდე მის წულულება.

მე არ მინდა, სიკვდილ შემდეგ, ორმ ამიგონ რამ  
ქედები.

სიცოცხლეს კი მიწამლავდენ, ორგორათაც ცსკარსა მგლები;

მე არ მინდა, არც კენდაბი ტურთა ჭალის თვალზე  
ცრემლებს,  
იმის თრთილ მწუხარებას და გადაშლილს ბეჭებზე თქმეს.

მე არ მინდა, არც მდომარ, დიდ კაცებთან დადარება.  
მაგრამ მინდა... ან რაღა ვსოდება? სჯობს ისევე მდუმარება.

#### რ. აღისუბნელი.

### ა ნ ე ტ ა ს

გინ გითხრა, და ვისმა ენაშ  
ჩემს გულში გრძნობა გაჯერა,  
არ დავის ცეცხლი შენ მაერ  
ანაგზნი, გრძნობაც ჩაჯერა?

რად არ მიახმა სასასა  
ენა ამისი მთქმელია,  
რად არ დაატყდა რისხვით ცა  
ქეშ არ გაჯერდა სმელია!

შენ დაგუკიწუო, შენ მოგიძულო?  
არა და არა, გიდონ სიგრძე გული,  
მარდოთ სისხლის წევთი მომექოვება  
და ცადების პირში მიდგანა სული!

გწამდეს, სატრიფლა, მე თვით ზეცანი  
და ჭოჭოსეთ შეერთებული  
შენდამი ტრიფლას კერ ადმინგრანან,  
გინდ შემომინთონ ცეცხლი გზებული;

ჩემი გულისა ადთა ის ციცხლი  
შენც დამიღოწებ—რად გამოხნდების,  
თუ არ ჰესკების მოკვდავთა ძალთა  
ბაძად ნიჭითადმი ზეციერების!

გასსოვდეს მნათო რომ შენსა ტრიფლა  
მდენისა გმატებ უქნის სიუფარულსა,  
თხვრასა სარქად, გრძნობასა ტასტად  
და ფიანდაზად გაგიშლი გულსა...

სანაცელოდ მხოლოდ ერთს რამესა გთხოვ:  
ტრიფლა საკანედ გნებით ტებილი  
გელაგ მომეც ბინა გულის გუნჭულში  
დეთიურის მაღით მადლ-ფუნილია! ..

შეგვიძინტრის.

### „ივერიის“ ჭორები

„ივერიის“ მეორმოც-და-ერთე ნომრის «სახელდა-  
ხელოს» ავტორს საფანელი უნდა შემოკლებოდეს,  
რომ უხამისი ტყვილებით კვებავს საზოგადოებას. აი  
მაგალითოც, ვითომც მე მეტების ქართველი საზოგა-  
დოებისთვის „სერენკი კოზლიკი“ იმღერეთ, თუ სიმ-  
ღერას გინდა შეეჩიოთო. ჩემ «ოეატრში» დაბეჭ-  
დილ „უცხო სიმღერების გავრცელების“ წერილში  
ბრძაც კი შეიგნებდა ჩემ უკამაყოფილებას ამ გვარი  
სიმღერების გავრცელების გამო; მაგრამ ხელობა რა-  
ში უნდა გამოეჩინა, რომ მეტორე დედაბრისებან არ  
აელო მაგალითი. ამ უსახელო რძლის ჭორი საკვირვ-  
ლად არ მიგეაჩნია, მისმა გამოჩენილმა დედამთილმა  
ისიც კი დასკენა ჩემი წერილის გამო, ვითომც უზ  
ვყოფდე ჩენი საერო სიმღერისა და გალობის არსე-  
ბობას და „ესეც ამერიკა“ ასრულებს თავის ფილო-  
სოფიას «ნარკვევის» ავტორი, თითქო მართლა ამე-  
რიკა აღმოეჩინოს.

ჩემგან აღიარებული ხელოვნური სიმღერების და  
ოპერის ნაწყვეტების თარგმნის საჭიროება არც იმას  
ამტკიცებს, რომ ჩვენ ჩვენი საერო მღილარი მუსიკა  
არ გექონდეს და არც იმას, რომ მუსიკის შეჩევისა-  
თვის უაზრო სიმღერას უკრჩედე ჩვენებს. აი რას  
ვამბობდი პაზიტივად ჩემ წერილში: ეს ხელოვ-  
ნური რუსული სიმღერები და სხვა-და-სხვა ოპერის  
ნაწყვეტები ქართულად თარგმნით, მუსიკის შეუცვ-  
ლელად, რომ ერცელდებოდენ ჩვენ საზოგადოებაში  
კარგი იქნება მეთქი“. ცხადა «სერენკი კოზლიკი»  
არც ხელოვნური სიმღერაა და არც კითხვა შეეხება  
მაგრესთანა სიმღერებს.


მეორე ჭორი მეხება მევე, თუმც ცუბად ამღები  
არ მახსენებს, როდესაც, ვითომც მოსწრებულად ამ-  
ბობს „ქართული ენის გასამშენებელიად ერთი იძა-  
ხის „ებური“ ჰესჯობი და მეტორე «სოციალ, დემოკ-  
რატიალ და სხვა რაღაც „ტაიალს“ ამჯობინებსო. მს  
აულია იმ ჩემი კორესპონდენციის (№ 12) მინაწერი-

დამ, სადაც ვამბობდი, რომ «ვწერ გენიალს, სო- ციალს, აღმინისტრატიეს და სხვ, მეოქი» და რომ- ლის გამო «იცერიამ» თავისი წერილი დასწერა და სა- ბასოდ აყენებდა ჩემგან მოყვანილს წესს. მაგრამ დიდად შეცდა იგივე „იცერია“ რომ ეს უცხო დასარ- თავი სახელები მიცემით ბრუნვითვე იხმარა, მის მა- გიერ, რომ ეთქვა სოციალი, გენიალი, აღმინისტრა- ტიერ. «სახელ-და-ხელოს» ავტორიც წამოსულა და იმავე შეცდომით იმეორებს ამ დასართავ სახელებს და ერთ უცხო სიტყვასაც „დემოკრატიალს“ თავის მხრით უმატებს, რომ ჰათქევას „სხვა რაღაც ტრა- ლს“ ამჯობინებსო. აი ოხერ-ტრალობა ამას ჰქონდა. სიტყვა „დემოკრატიალი“ რომელი ენის ლექსიკონ- შია? ეს მხოლოდ „სახელ-და-ხელოს“ ავტორს გამოუ- ხოხორიკებია, რომ შემდევი ქართული სიტყვის „ტრა- ლის“ ხმარება შეძლებოდა. ამისთანა აზრის ვერც ახლნა- ჯობას ვუწოდებთ და ვერც სიტყვების ამღერებას. ეს არი მხოლოდ უმეტების და ჩლუნგი გონების ნა- წარმოები.

ამ უნდილ ოხუნჯობას, სასარგებლო იქნება „რიფმის“<sup>\*)</sup> დაწერით „სერინკი კოზლიკის“ გავლენა თავიდან აიშოროს, „ახლანდებურის“<sup>\*\*</sup>) ხმარებით ქარ- თული შეისწავლოს და მერე მართლა დასურინ მოვ- ლინება ყბად აიღოს თუ საამისო კბილი ექნება.

პ. მირიან შევლი.

ჭ. ჭარია.



## ახალ მოთხოვებებიდგან

შესახებ უმაღლეს ქველ-მოქმედებაზედ მარგოზ ტვაინისა

(თარგმანი)

შმაწვილობიდვანვე, მე ჩეცულებათა მქონდა ზნეობის მაშაველებელი ანდაზების კითხვა, რადგანაც ერთის მხრით მაძლევდენ სასარგებლო გაკვეთილებს, მეორეთი—ბევრს სიამოენებასა. მე ისინი ყოველთვის ხელშია მქონდა და, რაკი ამერეოდენ აზრები ჩემი ზნეობის შესახებ, მაშინათვე იმათ მიემართავდი ხოლ- მე, და ისინი მიუანტავდნ ამ ცუდ აზრებსა; ყოველ- თვისინ რაკი მე ჩემ თავს დავინახავდი ეგოისტიათ, ბო- როტათ, ცუდ კაცათ, საჩქაროთ იმათ დაუწყებდი კითხვას და მათშია გამოვებდი როგორ უნდა მოვცეუ- ლიყავი, რომ მქონდა ჩემი თავის პატივის-ცემა. არა ერთხელ შევწუხებულვარ, რომ ეს საუცხოვო ანდაზები ძრიელ მაღლ თავდებიან, და არ არიან გავრ- ცელებულნი თვით სხვა-და-სხვა ქველ-მოქმედების

<sup>\*)</sup> უნდა იყოს «რითმი».

<sup>\*\*) უნდა იყოს „ახლანდელი“.</sup>

მოთხოვებზედა. ეს მწუხარება თან და-თან სხვ იც- გავდა ჩემში ფეხვებსა, რომ, ბოლოს, გრძელებული გაგრძელება ამ ანდაზებისა საკუთარის თხზულებითა, და შეუდექი საქმეს. შემდევ დიდის ჯაფისა და- ვაბოლოვე კიდეცა. წარმოგიღებით, მკითხველო, მათ შედევსა, გაგაცნობა, სათითაოთ ყოველ მოთხოვდას თავის ნამდვილი თვისებით და ჩაურთებ აგრეთვე ჩემს განვრძობას, თუ როგორ გამოიკვლია ეს ჩემშა თვემა.

მადლიერი მაღლი. მჩხელ ერთმა კეთილმა ექიმ- მა გზაში იპოვნა უპატრონი ძალი, რომელიც იტან- ჯებოდა საშინელი მტკიცნელობით, მოტეხილი ფეხის გამო. კეთილმა ექიმმა წაიყვანა საბრალო ცხოველი და დაუწყო ექიმობა ავადმყოფ ასოსა, და ცოტა ხნის შემდევ კვალათ დაუბრუნა თავისუფლება თავის პაციენტსა. ექიმმა კი მაღლ დაივიწყა ესოდენი თავისი ქველ-მოქმედება, მაგრამ რაოდენათ უნდა კოფილი- ყო გასაოცარი, როდესაც, რამდენიმე დღის შემდევ, ერთ დიღას გააღო თუ არა თავის სახლის კარი, იმან შევნიშნა სახლის წინ თავისი მადლიერი ძალი, რომელიც მოუმოენლად ელოდა, ერთათ სხვა ძალ- ებით, რომელთაც თითო ფეხი რაღაც გაუგებარის მიხეზით, მოტეხილები ჰქონდათ. გულ კეთილ ექიმ- მა დაუყოვნებლივ აღმოუჩინა შემწეობა საბრალო პირუტყვებსა, და ამასთანავე აღტაცებაში მოდიოდა რომ ღმერთმა მოუკლინა მას, ასეთი შშევიდი ცხო- ველი, იმისათვისინა, რომ აღმოეჩინა მათთვის თა- ვისი გულ-კეთილება და სხვა.

ჩემი განგრძელა. მეორე დღეს დიღით ექიმმა კვალათ დაინახა თავის კარებ წინ ორი განთავისუფ- ლებული და მადლიერი ძალი, მათთან ერთად ორი სხვა კოჭლიცა. კოჭლი ძალლები მაღლ განთავისუფლ- დენ ექიმის დაუღალავ მზრუნველობისაგან, და ოთ- ხივემ ერთად გასწიეს შინისაკენა. დაანებეს თავი ექიმს, უფრო ფიქრებით მოცულს ამ თავის სასწაულ მოქ- მედების შესახებ. გავიდა დღე, გაიარა ღამემ, გათენ- და დიღა; კეთილი ექიმის კარებ წინ იწვნენ ის ოთხი მორჩენილი ძალი, მაგრამ მათთან ერთათ ოთხნიც სხვანი იყენენ, რომელიც საჭიროებდენ აგრეთვე მორ- ჩენასა. გაიარეს ამ დღებმაც, დადგა სხვა დიღა. სა- ხეირო ბილიკზედ იწვნენ თექესმეტი ძალი ერთათ, რომელთაგნაც რეას ფეხები ჰქონდათ დამტკრეული... დამტკრეული ფეხები მაღლ ყველას საღარ გარდექ- ცათ, მაგრამ ექიმს, ფიქრები, ამ ღეთისაგან მოვლე- ნილ საოცრებაზედ თითქო სრულებით აერივნენ. მზე ჩეცულებისამებრ ამოვიდა და დანათა ოცნები

ძალლსა, რომელთაც აევსოთ მთელი ეზო. გარშემო ძრიელ ბევრი ცნობის მოყვარენი შემოჰკვევიდენ და უყურებდენ ამ საოცარ მოვლენასა. ღმუილი დაქრი-ლებისა, მხიარული ყეფა მორჩილებისა და აუარებელი ყაყანი მაცერალ მოქალაქეთა, მხიარულ სანა-ხაეს შეადგენდა მნახველთათვის. კეთილ-ექიმმა მოიწ-ვია ორი ჯარა ექიმი და საღამომდისინ გაათავა თა-ვისი კეთილ-განძრახული ოპერაცია ..

მაგრამ ბევრ საგანს ბუნებაზედ თავისი სამზღვა-რი აქვს. როდესაც მეორე დღეს დილით, ჯერ კიდევ გათვარებისას, დაინახა კვალათ თავის ეზოში აუარებელი ხროვა ძალებისა, რომელთაც ღმუილით თუ ყეფით ეხვეწებოდენ შეელასა, ექიმმა სოქვა: „უნდა გამოესტუდე, რომ წიგნებმა შეცდომილებაში შემიყე-ნეს; ისინი მოგვითხოვდენ მარტო კეთილს, დანარ-ჩენზედ ჩუმათ არიან.

გეორგი ბწერალი. მრთი ახალ-გაზდა მწერალი, ლარიბი კაცი, ამაოთა ცდილობდა მოექციონა თავისი სტატია რომელსამე ქურნალში. ბოლოს, როდესაც უფრო სასო-წარკვეთილებაში შედიოდა შიმშილისა-გან, იმან უამბო თავისი მწარე ხვედრი ერთ გამო-ჩენილ მწერალს და შაეხვეწა ერჩივნა რამ, ან ეშ-ველნა რითიმე. ამ სულ-გრძელმა კაცმა მაშინათვე დაანება თავი საქმეს და დაუწყო კითხვა ერთ იმის ხელთ-ნაწერსა, რომელიც ასეთ დიდ ვაი ვაგლას იყო გამოვლილი. რა გაათავა თავის კეთილი განძ-რახვა, იმან კეთილის გულით ჩამოართვა ხელი საბ-რალო ახალგაზდა მწერალსა და უთხრა: «მე თქვენ სტატიაში ლირსეულობასა კპოვებ; ორშაბათს შემოი-რეთ ჩემთანა». დანიშნულ დროს, გამოჩენილმა მწე-რალმა, საამურის ღიმილით, გადაუშალა ყმაწეილ კაცს. წინ სტოლზედ ქურნალის ნომერი, რომელიც ის კი იყო გამოეტანათ სტამბილგანა. რაოდენათ გა-ს აოცარი უნდა ყოფილიყო ყმაწეილი კაცისათვის, როდესაც გადაშლილი ქურნალის ფურცლებზედ იმან დაინახა თავისი სტატია! „რითი შემიძლიან, წამოი-დახა ახალგაზდა მწერალმა, დაეცა მუხლის თავებზედ და ცრემლმა ნაკადულსათვის დაჭხეთქა თვალებიდგა-ნა:—რითი შემიძლიან მაღლობის გადახდა ესოდენ კეთილ-მოქმედებისათვის?.. ზამოჩენილი მწერალი იყო სახელოვანი სწოდერასი, მხოლოდ ახალგაზდა ყმაწეილი კაცი, გადარჩენილი წყვდიადი ხვედრის და შიმშილისაგანა, იყო აგრეთვე შემდეგ ცნობილი სწოდები. ვისურვოთ, რომ ამ შემთხვევას აღეძრას ჩვენ მწერლებისათვისაც სურვილი და კეთილათ მო-პყრობოდენ ყოველ ახალგაზდა მწერალსა.

წემი განგრძლია. მრთი კეთილის შემდეგ სწოდები კვალათ მოადგა კარზედ ხუთი რვეული ზეტრაზე-რითა. სწოდერასი გულ-მოდგენით შეუდგა იმ ქა-ლალდების შემუშავებასა, თან-და-თან გავკალა გზა და შემდეგ კიდევ მოახერხა ორი სტატიის ფურნალში მოქცევა.

გავიდა კიდევ ერთი თუ ირი კეთილი მაღლიერი სწოდები კვალათ მოვიდა მწერალთან ახალის ტერ-თითა. განთქმული მწერალი იმ დღეს, როდესაც პირ-ველათ იმას მოუხდა გაემხნევებინა ახალ-გაზდა მებრ-ძოლე, აღუძრა იმას უშადლესი სიამოენება და სუ-ლის მღელვარებით შეადარა თავის თავი იმ მაღალ სულიერ კეთილის მყოფელთ, რომელზედაც იმას არა ერთხელ წაუკითხას წიგნებშია, მაგრამ ეხლა იმას ეგონა, რომ იმის ქველ-მოქმედებას მოემატა ახალი პლანი, რომლის მსგავსიც წიგნებში ჯერ არ მოი-პოვებოდა. იმას ენტუზიაზმი თან-და-თან ეკარგებო-და, ამასთანავე, იმას არ შეაძლო არ შაეწყნარებინა ეს მოცადი გზის გამკვალავი საბრალო ახალგაზდა კაცი, რომელმაც ასე საამურათ და გამოტეხით მიჰ-მართა იმასა.

შედეგათ აქ ზემოთ ამოკითხულ მაგალითისა აღმოჩნდა, რომ გამოჩენილი მწერალი ყოველთვი-სინ უმარტდებოდა საბრალო ახალგაზდა კაცსა. ყო-ველი იმისი ცდა რომ დაებრუნებინა თავისი მოხვე-ჭილი დიდება ამაოთა რჩებოდა. ის ვინც ყოველთვის უჩემდება, ყოველ დღე მოსწონდა ხელთ ნაწერები, ასწორებდა მათ, რომ ისინი ლირსნი გაეხადნა ბეჭვ-დისა, ცდილობდა რედაქციებშია, ამ ქველ-მოქმედე-ბამ სულ ამაოთ ჩაუკარა. რაც ახალგაზდა მებრძო-ლებ გზა გაკვალილი ნხა, აღარა ჰსაჭიროებდა ხელის წამირთვას და თავისულად გამოეიდა მოღვაწეების ასპარეზზედ. იმან უფრო იმითი გაიამაყა თავი, ცვე-ლა თავის მედროვე დიდება მოხვეჭილეზედა, რომ შშვენიერათ ასწერა გარეგანი ცხოვრება გამოჩენილი მწერლისა ისეთის სინამდევილის შენიშვნებითა, რომ ცოტა ხნის განმაჟლობაში აუარებელი წიგნი გაიყიდა და მწერალს კი მხოლოდ ამ ამბაემა მოუსწრაფა სი-ცოცხლე სულის ამოსვლის დროს იმანა სოქვა: «ვა! წიგნებმა მომატებულს; ისინი მოგვითხოვდენ მარ-ტო ნაწილს ისტორიისასა. ერიდეთ, მეგობარნო, ახალგაზდა მწერლებსა.

მადლიერი სახლდება. მრთხელ, ვილაც ქალი მოა-ქანებდა თავის პატარა ვაჟი-შეილით, ბმერიყის პირ-ველ ქალაქის ერთ უპირველეს ქუჩაზედა, ამ დროს დაუფიხათ ცხენები და გაიტაცეს ეტლი, მოეტლე

ნიმე საგრამატიკო ტერმინები და მასთანვე ქართული ლექსთა წერილის ზოგიერთი ფორმები. შეთაისელთ მიბაძეთ, თუ ნამდვილის საქმის სიყვარულით და გულის სიწრიცელით თვილისშიაც აღძრეს ამ საყურადღებო კითხვებისადმი ბაასი და პირველად ბ. მიხ. ნასიძემ დაწერა წერილი, რომელიც ჩვენგან-მიერ ზემო-მოყვანილის სათაურით „ივერიის“ ნომრებში და-ბეჭდა.

ბ. მიხ. ნასიძე ახალგაზდა კაცია, მეცადინე ქარ-თულს პედაგოგიურს მწერლობაში და მან თვეში მე-ცადინება არა ერთხელ დაამტკიცა, თუ ქართულ-ეურნალ გაზეთების ფურცლებით და თუ შარშან თვისგან გამოცემულის ქართულის ქრესტომატით. ჩვენ სრული იმედი გვაქს, რომ ბ. ნასიძე მარტო ქრესტომატით არ დააბოლავებს თვის შრომასა და ივი სხვებსაც ბეჭრს რასმე გამოსცემს ჩვენს ღარიბს მწერლობაში. ჩვენ უკვე დღეს ისიც შევიტყოთ, რომ ბ. ნასიძე ქართული სახელმძღვანელო გრამატიკის გა-მოცემას აპირებს. დერთმა ქნას, რომ ეს ხმა მარ-თალი გამოდგეს და ამ ახალგაზდა პედაგოგმა თავის დაპირებას არ უმტკუნოს.

ნასიძის წერილებმა ქართულ მწერლობაში საკ-მარისი ყურადღება მიიპყრეს და „ივერიაში“ რამდე-ნიმე წერილიც დაბეჭდეს, შესახებ ქართულის გრამა-ტიკისა, რომელიც მრავალთაგან იქმნა სიამოვნებით წაკითხული. მართული გრამატიკული კანონების შე-მუშავება იქამდის საყურადღებოთ გახდა თვილისის ქართველთათვის, რომ დღეს მრავალნი საუბრობენ ამ საგანზე და მეცადინებენ, რომ ქართული სხვა-და-სხვა გრამატიკები მოიპოვონ და როგორმე გვა-რინათ გაიცნან. ამიტომ ვალად ვრაცხ მე, რომ აქ პატარა ბაბლოგრაფიული შენიშვნა დავსწერო ყველა იმ გრამატიკებისა, რომელნიც კი საყურადღებონი არიან ქართულს ენაზე და ადვილათ მოსაპოვებელნი. ამის დაწერას მე მით უფრო ვებედავ, რადგანაც ნა-სიძის და სხვების წერილებში მხოლოდ მოხსენებუ-ლია ჩუბინოვის, ღილაკევის, ილევლიანის, ქართველ კათოლიკების და შიფრიანისაგან გამოცემული გრამა-ტიკები და რაფ. მრისთავისაგან შედგენილი ქართუ-ლი გრამატიკის სქემა.

ზემო მოხსენებულთ გრამატიკებთ გარდა ქარ-თულს ენაზე არსებობენ შემდეგი გრამატიკები:

1) ბრამატიკა, ვრცელი, შედგენილი ანტონ პა-თალიკოზისაგან და დაბეჭდილი ქალაქ თვილის 1885 წ.

2) ქართული გრამატიკა, შედგენილი ზოგრაბ ჭანშოვანისაგან, ვახტანგ მეფის დროს. ამ გრამატი-

კოს ათი ბრუნვა აქვს. ბრუნვას სისალის უწყოდებულ და ასევე სხვა-და-სხვა საგრამატიკა ტურქეთში, არა კი გრამატიკა 1881 წ. თვილისის არხელოგიური კრე-ბის სახსოვრად ცაგარელმა პეტერბურგში გამოსცა. მთელი გამოცემა პეტერბურგში აწყვია და თვილი-ში კი შოვნა არ არის.

3) შემოკლებული გრამატიკა. ანტონ პათალი-კოზისა. მს ხმარებული იყო XVIII საუკ. საქართვე-ლოს სკოლებში.

4) შეადგინა დავით ბატონიშვილმა, გრამატიკას თავის პაპას, მრეკლეს, მიუძღვნის. მს გრამატიკა დაუბეჭდავია. ამის ხელთ-ნაწერი 1875 წ. თვილისი-დამ ჩუბინოვმა წაიღო პეტერბურგში.

5) შეადგინა დავით რექტორმა. ამას თვით ხმა-რობდა თავის სკოლაში.

6) შეადგინა ვარლამ ეგზარხოსმა და 1802 წ. პეტერბურგში დაბეჭდა. ამ გრამატიკის ერთი ეგზ. „წერა-კითხვის სამართველოს“ მიეყიდე.

7) რუსულ-ქართული გრამატიკა. შეადგინა და დაბეჭდა გოდერი შირალოვმა 1827 წ. ეს გრამატიკა სახელმძღვანელოდ ყოფილა მიღებული.

8) საგრამატიკო კანონები, შედგენილია იოვან ბატონიშვილისგან. ამ კანონებიდამ რამდენიმე პა-რაგრაფი „კალმასობაზ“-შია ჩართული.

9) ბრამატიკა არის დავით ქართველოვისაგან შედგენილი, რომელიც 1812 წ. დაუბეჭდილათ თვილისში. მს გრამატიკა კითხვა-მიგებით ყოფილა დაწერილი და იმ დროს სახელმძღვანელოდ მიღებული. მს გრამატიკაც „წერა-კითხვის სამართველოს“ მივ-ყიდე.

10) ბრამატიკა, შედგენილია და დაბეჭდილი 1787 წ. ქ. პეტერბურგში. მს გრამატიკა პატარა ზო მის არის, დაბეჭდილია ხუცურ-ხელრულის ასოებით და ეკუთხნის ზაიოს არხიმანდროტს, რომელიც დღეს „წერა-კითხვის სამართველოშია“ დაცული.

11) მართული საგრამატიკო წერილები, დაბეჭ-დილია 1861 და 1862 წ.წ. „ისეკოს“ ნომრებში.

12) საგრამატიკო შენიშვნები, დაბეჭდილია 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“.

13) ბანხილვა ქართულის ენისა. დაბეჭდილია 1874 წ. «ცისკარში». ეს სტატია ცალკეც არის და-ბეჭდილი. მკუთხის თ. გრ. ორბელიანს, ბოლოზე „ძეელი სემენარისტი“ აწერია. სტატიაში განხილულია ზოორგი წერეთლის მოთხოვბა „მეზავრის შენიშვნე-ბი“. მს მოთხოვბა 1873 წ. „პეტერბურგში“ დაიბეჭდა. ზარჩევაში დიდი ყურადღებაა მიკურობილი ზმაზე და თანდებულზე.

გადმოაგდეს და საშინელს განსაცდელში იყვნენ შიგ მსხლომნი. მაგრამ ამ დროს ერთი ახალგაზდა კაცი, ქუჩაში მიარახრახებდა პატარა ხელის-ურეშს სხვა-და-სხვა ნავაჭრითა. გადაუდგა წინ ამ გაცოფებულ ცხე-ნებსა და, სიცოცხლის დაუზოგველად შექმნა ისინი მაღლობის გადახდის შემდეგ ქალმა ჩაიშერა ნომერი ახალგაზდა მოვაჭრისა და, დაბრუნდა თუ არა შინ, უაშშო თავის ქმარს გმირულს გამარჯვებაზედა (რო-მელსაც უყვარდა ზნეობის მასწავლებელი წიგნების კითხვა). მან თითქმის ტირილით მოისმინა საშინე-ლი თავ-გადასავალი, მაღლობა შესწირა, ამ საშინე-ლების გადარჩნინისთვის თვითი იმას, რომლის უნებუ-რათ ჩიტიც კი არა კვდება, და შემდეგ მოიწყვდია სახლში ის მამაცურად გამშედვი კაცი, ჩაუდო ხელ-ში ერთი სამოცი თუმნით გაესხებული ქისა და უთხ-რა: „აიღვით, ვილლიამ ფერგუსონი, ჯილდოთ თქვენის კეთილის მოქმედებისათვისა, და თუ ფინიცო-ბაა ოდესმე თქვენ დაგჭირდებათ მეგობარი, გახსოვ-დეთ, რომ ტომსონ მაკ-სპადდენსა აქეს კეთილი გულია. დე ამ შემოხვევამ გვასწავლეს ჩვენა, რომ კეთილი საქმე არასოდეს არ დარჩება სიკეთე გადუ-დელათ იმათვის, ეიც ამას მოიქმედებს.

ჩემი განგრძელება. არ გავიდა ერთი კეირა რო-ვილლიამ ფერგუსონი მოვიდა მისტერ მაკ-სპადდენ-თან პატექციის სათხოვნელად, რომ უფრო ამ უკე-თესი ადგილი ეშოვნა, თავის წერილმან ვაჭრობაზე-და, მით უფრო რომ იგი თავის თავს ყოველისფერში დახელოვნებულათ სთვლიდა. მისტერ მაკ-სპადდენმა უშოვნა მწერლის ადგილი კარგის ჯამაგირითა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ვილლიამ ფერგუსონს დედა გაუხდა აეათა, და ვილლიამმა... ერთის სიტყვით, მისტერ მაკ-სპადდენი დასთანხმდა თავის სახლში მიღებასა, ავალმყოფმა ისურვა თავის პატარა შეკილების თავისთან ყოფნა; ამ სახით, მიღებული იქმნენ სპადდენის სახლში მერი და იულია და იმათი ძმა, პატარა დჟიმში. დჟიმსა ჰქონდა პატარა კალმის დანა; ერთ დღეს ის გაპყვა უკან თავის დებს სასტუმ-რო ოთახშია და ერთი მეოთხედი საათის განმავლო-ბაში, ათი-ათასი დოლარის მეტი ნიეთები იორწიოთ აიკლეს; ორი სამი დღის შემდეგ ცელქი დჟიმში გად-მოვარდა კიბილგანა და კისერი მოიტეხა, რომლის გა-მოც იმის დამარხევაზედ, რატო ჩეილმეტზედ მეტი ნა-თესაობა არ დაესწრო. ამ შემოხვევით უფრო დაა-ლოვებული ნათესაობა ჩამოვარდა მათსა და ვილლია-მის დედის შორის, და მათ დამარხევის შემდეგ დაი-ჭირეს ბინათ მაკ-სპადდენის სამზვარეულო. ბებერი საამურათ მიირთმევდა უველავერს და საამურათაც

იგინებოდა, მაგრამ კეთილი მაკ-სპადდენის სახლობაში მაინც კეთილათ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობასა. ვილლიამიც მაღ-მაღ მოღიოდა ხოლმე იმათთან, ზოგჯერ ფულსაც საკმაოთ აძლევდენ, მაგრამ მაინც მეტ შემოსავლიან ადგილსა სთხოვდა ყოველოფის სპადდენსა. მაკ-სპადდენი ამაზედაც დასთანხმდა. ბებერი ყოყმანის შემდეგ, ვილლიამი სასწავლებელში მიეცა, მაგრამ როდესაც დადგა თუ არა პირველი კანიკული, ჭაბუკ გმირმა მოითხოვა, მეროპაში გაეგზავნათ, სიმრ-თელის აღსაღვენათა; მაკ-სპადდენი აუჯანყდა თავის ამ გვარ უწყვალოსა და გადაწყვეტით უარი უთხრა. ვილლიამ ფერგუსონის დედა იმდენათ გააბრაზა ამ უარის თქმამა, რომ ხელიდგან გაფრიდა არყის ბოთ-ლი და თითონაც გულ შემოყრილი დაეცა იატაჭე-და. როდესაც მობრუნდა ბებერი, მაშინ ძლიერდა წარმოსოქვა: — მაშ აი როგორ უხდით თქვენ კაცს მადლობას! მე არ დავიხსნი თქვენი ცოლის სიცოცხლე განსაცდელისაგანა? მითხარით!

შეიდი თუ რეა ვილლიამის ნათესაობა გამოც-ვიდნენ მაკ-სპადდენის სამზარეულოდგან და ყველამ სათითაოთ შესძახეს.

— აი როგორ უხდიან კაცს მადლობას!

აქ კი მაკ-სპადდენმა ვეღარ შეიმაგრა თავისი სიბრაზე და გულ-მოსულმა შეპყვირა: „დამეკარგნით ჩემის სახლიდგანა! მე მოტყუებული გიყავი წიგნები-საგანა, მაგრამ შემდეგში მე ისინი ვეღარ მომატყუე-ბენ!“

შოველ წამყითხეველს ამ სტრიქონებისა, რასა-კურველია ერთხელ მაინც მოუხდებოდა თავის სი-ცოცხლეში, წუთი კეთილი სულიერებისა, რომელ-შიაც აღსარულებდა ქველ-მოქმედი გმირის როლს. მე შურს შევიტყო, სასიამოენა თუ არა ბევრისა-თვის მოგონება ამ წარსულის შედევისა.


ორი საგრამატიკო ჟანრის გამო.

ჩეენ შევიტყოთ, რომ თფილისში და შეთაისში წრეები შემდგარა, რომელთაც ჰსურთ, ქართუ-ლი ენის გრამატიკული ტერმინები და ფორმები გა-ნარჩიონ და ერთხელა და სამუდამოთ საგრამატიკო-ლიტერატურაშიაც დაარსონ და დაამტკიცონ. ამ სანის შესახებ შეთაისიდამ წერილებიც იძექდებოდა „დროება“-ში და საზოგადოებასაც აცნობეს რამდე-

14) გრამატიკა, შედგენილია უცნობის პირისა-  
ვან. მს გრამატიკა ბევრის ტერმინებით და მასალებით  
განიჩევა სხვა გრამატიკებთან. სხვათა შორის ბო-  
ლოში შეკრებილია და ანბანზე ასხმული ქართული  
ზენები. ზმნათ როცხი 7000 იყო. მს გრამატიკა  
დღეს წერა-კითხების სამართველოს ეკუთვნის. ამ ზე-  
მოსსენებულ გრამატიკებთ გარდა, არსებობს კიდევ  
მრავალი სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერი გრამატიკები, რომ-  
ლებიც მე თვით მაქტნდა და რომლებიც დღეს წერა-  
კითხების სამართველოს ეკუთვნის.

წარმოვადგენ ამ სიას და უკეთელია, რომ ამის  
საშუალებით მრავალნი მოსძებნიან ამ გრამატიკებსა,  
ჯერეთ ამათ შინაარსებსაც გაიცნობენ და მერე უკ-  
ელია, რომ უფრო გაიადეთებენ თვის შრომას. ამ  
გრამატიკების წაკითხვა მით უფრო საჭიროა, რადგა-  
ნაც ერთი მეორისაგან ბევრ ნაირის საგრამატიკო  
ტერმინებით და მაგალითებით განიჩევიან.

#### ¶. ჭიჭინძე.



## ნ ა რ ე კ ა

ადმინისტრაციული აზრები ჭიჭინძე, უსახებ მომავალზედ.

მომავალს ბედნიერებას ისეთი სამოსელი აქვს  
წამოსამული, რომლიდანაც მკრთალათა სწინ გა-  
ზაფხულისაგან ახლად აყვავებული მდელო და ჩუმის  
ხმით, ნაზი ჰარმონიული ხმა მოისმის. (8. 189).

ჭიჭა საქმეზედ წინ მიღის, როგორათაც ელვა  
ქუხილის წინ... ნემეცების ქუხილი, თვით ნემეცია;  
თუმცა იგი სრულიად უმოძრავოა, მაინც კი კიდევ  
მოგა, მაგრამ ისეთის საშინელებით დაიწყებს ქუხილ-  
სა და გრიალსა, რომ თავის დღეში კაცს დედა-მიწის  
ზურგზედ არ გამოეცადოს. მაშინ არწივები უსულო-  
ნი ძირს ჩამოცვიგიან და აფრიკის უდაბნოებში ამა-  
ყათ მავალი ლომები, კუდ მაკაუპნი თავიანთ მეფურს  
გამოქვაბულებში შევლენ. პერ ჰერმანიაში სიჩუმეა,  
თუ ვინმე უთავ-ბოლოდ ყბედობს, ნუ გვონიათ, რომ  
ეგენი ის მსახურანი არიან, რომელთაც იმ მომავალს  
ტრაგედიაში მონაწილეობა უნდა მიიღონ. მეგენი ის  
ძალლები არიან, რომელიც ცარიელა სცენაზედ დარ-  
ბიან, ერთმანეთსა ჰყეფენ და ჰგლევენ. სანამ არ იქ-  
ნება, ვიდრე გლადიატორები არ გამოელენ დიდი  
ბრძოლის მოედანზედ, იმ ბრძოლაში, რომელიც  
სიკვდილ სიცოცხლეზეა. (3. 109).

119  
სახალხო ლექსიგი  
გიგანტისაგან)

პირულა მოდიდებულა,  
უკირილას მაქვს სიდიო—  
გისაც წამალი გინდოდეს,  
თურმანიძესთან მიდიო.

ერთი სიტყვა რამ მსწადოდა,  
წავსდექ წინა და მე გერ ვსოჭვი;  
წავსდექ დ უპუ მოგვადექი,  
დღეს არა, სკალე ვათქვა მეთქვი.—  
ნეტა უნ, ჩემო სიტყვა,  
ჩემ სიცოცხლეში არ მეთქვი,  
და ქვე არ გითხარ ჩემი ენა მისი  
შენს შილში იუგი მეთქვი!.

გახტანგ მეჭე ღმერთს უკარდა,  
წილგნ ესმის ზარის რევა;  
იალუზზედ ფეხი მედგა,  
დიდმა მთებმა იწეს დრევა.

თქვინ ჭირიბეთ, უმაწვილნო!  
დაივარცხნათ დილით თმასა—  
ჩენ მტერი ვერას დაგვაკლებს,  
შამოვერტემით გადაგანსა!

ზატანა წამოვიზარდე,  
გისწავე—ტყე და გელია;  
მტერებისენ რომ შირი ვშენი—  
მეგონა სარგებლია...


უნდა წავიდე გავთათოდე,  
შენ მენენები მამულო!  
ასაცებულო მტრისაგან,  
შეიღოგან დარბლებულო!..

იარე, ბიჭი, წავიდეთ,  
გის შეკრათ ჩენი მტრისათ,  
ჩამოივლოს თარეში,  
ურჯულო სხვათა მხრისალ;  
ხელთა უჭირავსთ თოფები,  
თოფები სვარასნისალ.  
დავაურეგინოთ ტუპები,  
მდღირც მოგისვდება დგოსალ.

მმარ, მაგ შენს მომკლავსი

ორმულათ შივეპარები:  
თოფსა გქერავ, სმაღსა შემოგერავ,  
არც ერთს არ დავემალები.

მამული! შენთვის მოგედები!  
შენთვის ჩავიცვაძ შავსარ!  
შენ შემოგრავ, სიცოცხლეს!  
შამოგეფლები თავსარ!



წინა გამოცანების ასეს:

- 1) გუთანი. 2) ციცინათელა. 3) ბროჭეული.  
4) ყინული. 5) კეტი. 6) კანჭი (წვევი). 7) თითის  
ტარი. 8) ქუდი 9) წაბლი 10) ბურთი.

დადაქტორი და გამომწემელი გ. აბაშიძე.

## განცხადებანი

ს ტ რ ი ნ ა .

### მ ე ლ ი ქ ი შ კ ი ლ ი ს .

თვითონისში—სასახლის ქუჩ., არწიუნისეულ ქარ-  
გასლაში, ქართული თეატრის ქაემო სართულში.

იღებს უაველ გვარს სასურამბო საქმეებს საბე-  
ჭდავათ: გაზეულის, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-  
ვე უგეგმ-გვარ ბლანებს, გვატანციებს. სხოტებს,  
განცხადებებს, ავიშებს, პირობებს და სხვ.

სისუთავები და ადამიანთურ საქმის  
შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის  
მომცრანთ.

სტამბა გისრულობს კორეპრეზის გასწორებას  
და ბროშურების გაგეთებას, უპირუ ზაქაზის  
მომცრი ასურებენ.

## „თ ე ა ტ რ ი“ ც მ ი ე ლ ი შ ე მ ი შ ი ლ ი ს


ისტორიული დრამატიული პოემა აქაპისა,

ისეიდება მორივის ბიბლიოთეკაში, გოლოვინის  
პრისტეპტრიზე, მუხრან-ბარიანის სახლში და გრექეროვას  
წიგნის მაღაზიაში. ფისი ათი შაური. (10—11)

## ს უ რ ა თ ე ბ ი

ჩვენი პოეტებისა და მწერლებისა

ა ა მ ა წ ე რ ა ლ ი  
ე ლ ი ს ჭ ა ვ ა მ ე ც ა მ ა ნ ი  
გ ა მ ა მ ა რ ა ლ ი ა ნ ი



ბ ი რ ა მ ა მ ა რ ა ლ ი  
ე ლ ი ს ჭ ა ვ ა მ ე ც ა მ ა ნ ი  
გ ა მ ა მ ა რ ა ლ ი ა ნ ი

ჩინებულ ალექსანდროვის ქადაგზე ზე  
მსატერიას ა. ბერიძის

ისყიდება გრ ჭერიანის წიგნის მაღაზიაში,  
კუკის ხილის ყურჩე, ზუბალოვის სახლებში  
და ა. საჭაროვის ბაკალევინი მაღაზიაში, არწ-  
რუნისეულ ქარეასლაში.

გინწ ათს ას მეტს სურათს გამოიწერს, მა-  
შინ თითო სურათი 16 კა. დაეთმობა.